სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

თებერვალი №4

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman**: professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi (proeqti) ---------- 5-12

oficialuri dokumentebi ---------- 13-58

instruqcia / **Instuctions** ----------59-61

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 62-64

gadasaxadebi #4, 2018

GADASAKHADEBI #4, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

21.02.2018

პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1.88-ე **მუხლის**:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს.“;

ბ) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომელიც არ დაიბეგრება სპეციალური რეჟიმით და არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისათვის დადგენილი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას.“.

2. 89-ე **მუხლის**:

ა) მე-2 – მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება:

ა) თუ პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა;

ბ) პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელმაც ამ მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართა კალენდარული წლის დასრულებამდე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) თუ პირი ახორციელებს ამ კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საქმიანობას;

დ) თუ პირი კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ დაჯარიმდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტატუსი გაუქმებულად ითვლება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების თვე) დასაწყისიდან. ამ შემთხვევაში:

ა) პირი ვალდებულია, არასრულ საგადასახადო პერიოდზე საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში წარადგინოს არაუგვიანეს კალენდარული წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა;

ბ) პირს, სტატუსის გაუქმების კალენდარული წლის მომდევნო კალენდარულ წელს კვლავ შეიძლება მიენიჭოს მცირე ბიზნესის სტატუსი, თუ იგი კალენდარული წლის დასრულებამდე აღნიშნულის შესახებ მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, სტატუსი გაუქმებულად ითვლება მიმდინარე კალენდარული წლის დასაწყისიდან.“.

3. 90-ე **მუხლის**:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით.“;

ბ) მე-2 ნაწილი ამოღებული იქნეს;

გ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლებისგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა და ამ კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დადგენილი საქმიანობის სახიდან მიღებული შემოსავლისა.“.

4. 91-ე **მუხლის**:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ხარჯებს აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში, რომლის წარმოების (მათ შორის, ელექტრონული ფორმით წარმოების) წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

ბ) მე-2 ნაწილი ამოღებული იქნეს;

გ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდებისას, ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში გამოიყენოს სასაქონლო ზედნადები.“;

დ) მე-4 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„6. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსის გაუქმებისას არსებული სასაქონლო ნაშთების აღრიცხის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

ვ) მე-7 ნაწილი ამოღებული იქნეს;

5. 92-ე **მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც დაუდგა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, ამ კოდექსის 157-ე მუხლის შესაბამისად ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში.“.

6. 93-ე **მუხლის**:

ა) პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;

ბ) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:

„1^1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში წარადგინოს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს გადასახადი.“.

7. 94-ე **მუხლის**:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს.“.

ბ) მე-2 და მე-4 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

8. 97-**მუხლის**:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ორგანიზაციისათვის, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;

ბ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ აღნიშნული არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;

გ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.“;

ბ) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ამ მუხლის პირველი – მე-3 ნაწილების მიზნებისათვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.“.

9. 99-ე **მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – დ“ , „პ“ და „უ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.**

10. **მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

11. 135-ე **მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2. რეზიდენტი საწარმოსთვის, ორგანიზაციისთვის და საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისთვის (პირები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი – მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“.

12.143-ე **მუხლის**

ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამხანაგობა ვალდებულია ამ კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან დაბეგროს მისი წილის მფლობელი ფიზიკური პირისათვის განაწილებული შემოსავალი, რომელიც არ არის რეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ ან/და დღგ-ის გადამხდელად.“;

ბ) მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ამ მუხლის მე-2, მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილების დაბულებები არ ვრცელდება ამხანაგობის წევრზე, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი – მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.“.

13. 153-ე **მუხლის**:

ა) პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საწარმო (გარდა საწარმოებისა, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი – მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით);“;

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მეწარმე ფიზიკური პირი და საწარმო (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი – მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხების და დაკავებული გადასახადის შესახებ.“;

გ) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საწარმო, ორგანიზაცია და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი – მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია მოგების გადასახადის შესახებ და საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხების და დაკავებული გადასახადის შესახებ.“.

14. 154-ე **მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„დ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს (*გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირის, ნოტარიუსის, კერძო აღმასრულებლის და მიკრო ბიზნესის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პირებისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში), რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული არ არის.“.

15. 161-ე **მუხლის**:

ა) პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამ კოდექსის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას მოიჯარის (გარდა ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირებისა) მიერ ძირითადი საშუალებების მეიჯარისათვის დაბრუნება, რომლის დროსაც:

ვ.ა) დასაბეგრი ოპერაციების თანხა ტოლია აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან გამოსაკლები თანხისა, რომლითაც აღნიშნული ჯგუფი ნულდება;

ვ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის მომენტი.“;

ბ) მე-6 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

16. 168-ე **მუხლის მეოთხე ნაწილის**:

ა) „ძ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ძ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის და საავიაციო სამუშაოების გაწევა, ასევე საჰაერო ხომალდებისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევა.“;

ბ) „წ“ ქვეპუნქტის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა**: ამ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი არ მოიცავს შავი ლითონის სხმულებს, ზოდებს, ნაგლინს, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულს და ნახევარფაბრიკატებს, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში.“.

17. 189-ე **მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის და 8711 კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმებიდან, თუ სატრანსპორტო საშუალება 90 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზის 100 პროცენტის ოდენობა.“.

18. 194-ე **მუხლის მე-5 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]“ ქვეპუნქტი**:

„ლ[1]) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოყენებისათვის, თუ სატრანსპორტო საშუალების იმპორტის განმახორციელებელი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სავარძელ-ეტლით გადაადგილდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით;

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება შესაბამისი პირის მიერ შესაძლებელია ერთჯერადად სამი წლის განმავლობაში.“.

19. 286-ე **მუხლის** მე-7 **ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეადაქციით**:

„7. ამ მუხლის პირველი, მე-2, 3^1 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები არ დაეკისრებათ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს, აგრეთვე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს (გარდა ამ კოდექსის 95^3 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში.“.

20. 288-ე **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 288. **მიკრო და მცირე ბიზნესის საქმიანობის წესის დარღვევა**

ქმედება, რამაც ამ კოდექსის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილში ან 89-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული საფუძვლების გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება, –

იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.“.

21. 297-ე **მუხლის**:

ა) მე-3 **ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის შემოსავლების სამსახურში წარდგენით, გარდა ამ მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ბ) მე-3 **ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 3^1 **ნაწილი**:

„3^1. ამ კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილება არ საჩივრდება შემოსავლების სამსახურში. პირს უფლება აქვს, ამ კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში.“.

22. 309-ე **მუხლის** :

ა) მე-15 **ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„15. 2020 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა ფიზიკური პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 94-ე და 95-ე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„94. კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადით ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2023 წლის 1 იანვრიდან.

95. 2023 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.“;

გ) 99-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„99. ამ კოდექსის 98 [1] მუხლის მიზნებისთვის:

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად არ ითვლება;

ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის განაწილება, აგრეთვე 2017 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის 2023 წლის 1 იანვრამდე განაწილება მოგების განაწილებად ითვლება.“;

დ) 106-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 107-ე ნაწილი:

„107. 2018 წლის 1 იანვრამდე დადებული გრძელვადიანი კონტრაქტების მიმართ დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ნორმები.“.

23. **309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 108-ე და 109-ე ნაწილები:**

„108. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია, 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საგადასახადო პერიოდზე საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში წარადგინოს არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

109. მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, არასრულ საგადასახადო პერიოდზე (სტატუსის მინიჭების თვის დასაწყისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე) საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში წარადგინოს არაუგვიანეს კალენდარული წლის მომდევნო წლის 1 აპრილისა.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი – მე-11 ნაწილების, მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 ნაწილის, მე-15 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, მე-19 და მე-20 ნაწილების, 22-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 23-ე ნაწილისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი – მე-7, მე-10, მე-19, მე-20 ნაწილები, 22-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 23-ე ნაწილი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-8, მე-9, მე-11 ნაწილები, მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-13 ნაწილი და მე-15 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-12 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-14 ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი

21.02.2018

პროექტი

საქართველოს კანონი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01.06.2016, სარეგისტრაციო კოდი 200000000.05.001.018123) მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-10 და მე-18 ნაწილები ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №65

2018 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

„მთის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ოქტომბრის №536 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მთის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ოქტომბრის №536 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/10/2015, 010110020.10.003.018922) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

მთის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობა

1. **გიორგი კვირიკაშვილი** – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე.

2. **ზურაბ ალავიძე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. **დიმიტრი ქუმსიშვილი** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

4. **მამუკა ბახტაძე** – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს წევრი.

5. **თეა წულუკიანი** – საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საბჭოს წევრი.

6. **დავით სერგეენკო** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოს წევრი.

7. **მიხეილ ჩხენკელი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს წევრი.

8. **ლევან დავითაშვილი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, საბჭოს წევრი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

9. **ზაზა გაბუნია** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის №19 მაჟორიტარულ ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

10. **ერეკლე ტრიპოლსკი** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

11. **მერაბ ქვარაია** – საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

12. **ირაკლი კოვზანაძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

13. **კახაბერ კუჭავა** – საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

14. **აკაკი ზოიძე** – საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

15. **ზაქარია ქუცნაშვილი** – დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

16. **პაატა კვიჟინაძე** – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

17. **კობა ლურსმანაშვილი** – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, ბაღდათის მუნიციპალიტეტისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ილემის, სანახშირის, შროშის, ფუთისა და ძირულის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

18. **გოჩა ენუქიძე** – ქალაქ ამბროლაურის, ამბროლაურის, ონის, ლენტეხის, მესტიისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

19. **გოგა გულორდავა** – წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

20. **გიორგი კოპაძე** – ქალაქ ახალციხის, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

21. **ანზორ ბოლქვაძე** – ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებისა და ქედის მუნიციპალიტეტის (გარდა მახუნცეთის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქისა) საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

22. **გელა სამხარაული** – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თელავის მუნიციპალიტეტის გულგულის, ვარდისუბნის, თეთრი წყლების, იყალთოს, ნაფარეულის, რუისპირის, სანიორის, ფშავლის, ყარაჯალისა და ართანის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

23. **ნინო წილოსანი** – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის (გარდა სუფსისა და ღრმაღელის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისა), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნაგომრის, სილაურის, ძიმითის, ჯუმათის, ბაილეთისა და ნასაკირალის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

24. **ენზელ მკოიანი** – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის (გარდა აზავრეთის, კოჭიოს, პტენის, ბარალეთისა და ჩუნჩხის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისა) საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

25. **ვიქტორ ჯაფარიძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

26. **კახაბერ ოქრიაშვილი** – წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტებისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის კაზრეთის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

27. **მირიან წიკლაური** – საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

28. **კარლო კოპალიანი** – საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

29. **სულხან მახათაძე** – ჭიათურის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი, საბჭოს წევრი.

30. **ზურაბ პატარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი.

31. **კახაბერ გულედანი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი.

32. **მერაბ ჭანუყვაძე** – ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

33. **არჩილ ჯაფარიძე** – ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

34. **აკაკი მაჭუტაძე** – ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

35. **ლევან ზაუტაშვილი** – დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

36. **ლევან შონია** – აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

37. **გრიგოლ ნემსაძე** – ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

38. **კახა სამხარაძე** – გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

39. **გივი ჭიჭინაძე** – ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

40. **ირაკლი ქადაგიშვილი** – ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საბჭოს წევრი.

41. **ანივარდ მოსოიანი** – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი.

42. **ავთანდილ უგრეხელიძე** – ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წევრი.

43. **გიორგი გოცირიძე** – ექსპერტი, საბჭოს წევრი.

44. **თამარ ჩიბურდანიძე-ლომთაძე** – ექსპერტი, საბჭოს წევრი.

45. **ოთარ კონჯარია** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს მდივანი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №68

2018 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხის განსაზღვრისა და საჯარო დაწესებულებაში ამ ფუნქციების შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, განისაზღვროს იმ პროფესიათა/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხა და შრომის ანაზღაურების წესი, რომლებიც შრომის ბაზარზე იშვიათი და დეფიციტურია ან/და რომელთა შრომის ანაზღაურება აღემატება, ამავე კანონით განსაზღვრული კოეფიციენტების მიხედვით, საჯარო სამსახურში არსებულ შრომის ანაზღაურებას.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხის განსაზღვრისა და საჯარო დაწესებულებაში ამ ფუნქციების შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესი

მუხლი 1. შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხა:

1. საინფორმაციო სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სფერო:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ანალიტიკოსი/ანალიტიკა–ინფორმაციული სისტემების შექმნის/დახვეწის და პროგრამული უზრუნველყოფის მიზნებისათვის ბიზნესპროცესებისა და ამოცანების ანალიზი, ინფორმაციულ სისტემებსა და პროგრამულ უზრუნველყოფასთან ან/და მათი შექმნისა და მართვის ბიზნესპროცესების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტების მართვა; ინფორმაციული სისტემების სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და არქიტექტურის შემუშავება; ინფორმაციული სისტემების ფუნქციონალის/მოდულის ტესტირების გეგმის შემუშავება, ამავე სფეროში ტესტირებისა და დანერგვის პროცესში ჩართულობა;

ბ) პროგრამისტი/პროგრამირება–საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და მოდერნიზაცია, პროგრამული კოდის შემუშავება, არსებული პროგრამული კოდის რევიზია, ოპტიმიზაცია, გაუმჯობესება, უშუალოდ პროგრამირების პროცესთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა; პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება და ხარისხის კონტროლის პროცესში ჩართულობა (პროგრამირების პროცესსა და სატესტო გარემოს ადმინისტრირებასთან დაკავშირებით); პროგრამული კოდის/სისტემების განვითარებასთან დაკავშირებით ახალი ალგორითმისა და არქიტექტურის შემუშავება;

გ) საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი/ადმინისტრირება – საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების ან/და ქსელების არქიტექტურის განსაზღვრა/დაგეგმვა/ადმინისტრირება, სისტემების ინსტალაცია/განახლება, კონფიგურირება, კოორდინაცია, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია;

დ) საინფორმაციო სისტემის ინჟინერი/ინჟინერია და მართვა, ქსელების ადმინისტრატორი – საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების (მათ შორის, პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების, მონაცემთა ბაზების, ქსელების) კომპიუტერული სისტემების ან/და ქსელების ინსტალაცია, გამართვა, ექსპლუატაცია, აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, კონფიგურირება, დარეზერვება, აღდგენა და განახლება; მონაცემთა ბაზების არქიტექტურის განსაზღვრა, ადმინისტრირება, მართვა, შენახვა და აღდგენა;

ე) ინფორმაციული უსაფრთხოება – ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტანდარტების, სამართლებრივი რეგულაციების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი და მათი დანერგვის აქტივობების ორგანიზება; ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტებისა და მიდგომების შემუშავება, მხარდაჭერა და განახლება; ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტებისა და მიდგომების დანერგვა, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის აუდიტი; ინფორმაციული უსაფრთხოების სატრენინგო მოდულების მომზადება, კრიტიკული სუბიექტების საკომუნიკაციო პირებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის თაობაზე კონსულტაცია;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი/კიბერუსაფრთხოება–კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო საუკეთესო პოლიტიკის, სამართლებრივი რეგულაციებისა და პრაქტიკის კვლევა და ანალიზი; სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და საერთაშორისო ჯგუფებიდან მიღებული კიბერინციდენტების ანალიზი და ანგარიშგება/რეპორტინგი; კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის მიმდინარე პროექტების მართვა; სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებისა და კიბერსავარჯიშოების ორგანიზება და დაგეგმარება; ქსელური და ინფრასტრუქტურული სისტემების ყოველდღიური მონიტორინგი, განახლება და ოპტიმიზაცია;

ზ) ამ პუნქტის „ა-ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების ხელმძღვანელი პირი/პირები იმ შემთხვევაში, თუ მას/მათ უშუალოდ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე;

თ) იმ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი პირი/პირები, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს საინფორმაციო სისტემების განვითარება, ამ სისტემებში დაცული ინფორმაციის მიმოცვლა და ამ ინფორმაციისა და თავად სისტემების დაცულობის უზრუნველყოფა.

2. ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფერო:

ა) საგადასახადო აუდიტორი/აუდიტი – საგადასახადო აუდიტის ჩატარება, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების შემოწმება და ამ მიზნით, გადამხდელის ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და საგადასახადო შემოწმების აქტის შედგენა;

ბ) აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი – კერძო აუდიტორების/აუდიტორული კომპანიების, მათ შორის, საერთაშორისო აუდიტორული ქსელების ადგილობრივი წარმომადგენლობების აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმება; მათი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება და სათანადო მითითებების/რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის, აუდიტორული მომსახურების ხარისხის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა (ISA) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;

გ) ამ პუნქტით განსაზღვრული პირების ხელმძღვანელი პირი/პირები, რომელსაც/რომელთაც უშუალოდ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

3. სამოქალაქო ავიაციის სფერო:

ა) მფრინავი/პილოტი/ავიასაწარმოების სერტიფიცირების ზედამხედველობის სპეციალისტი – საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობის მიღება, საქმიანობაზე ზედამხედველობა, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა და სამოქალაქო საჰაერო ხომალდების მარშრუტებზე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეკიპაჟის საფრენოსნო და მეთოდური შემოწმება, სამოქალაქო ავიაციის სფეროში მომხდარი ინციდენტებისა და შემთხვევების მოკვლევა;

ბ) ფრენის სამედიცინო უზრუნველყოფაზე ზედამხედველი ექიმი-ინსპექტორი – ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა, ავიასამედიცინო ცენტრისა და ავიასამედიცინო ექსპერტის სერტიფიცირება, საავიაციო-სამედიცინო-საექსპერტო კომისიის საქმიანობაზე ზედამხედველობა;

გ) ავიასპეციალისტების სერტიფიცირების ინსპექტორი – ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა, ავიასპეციალისტებისათვის მოწმობების გაცემის, გამოცვლის, მოქმედების ვადის გაგრძელებისა და საკვალიფიკაციო აღნიშვნის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; სხვა სახელმწიფოების მიერ გაცემული მოწმობებისა და საკვალიფიკაციო აღნიშვნის აღიარება;

დ) სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების ინსპექტორი – ავიაციის სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირება, მასწავლებლის მოწმობის გაცემა; სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების საქმიანობაზე ზედამხედველობა, პერსონალის სერტიფიცირება, მასწავლებლის მოწმობის გაცემა, უცხო ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების აღიარება;

ე) ავიატექნიკოსი/საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობის (Airworthiness)/ტექნიკური მომსახურების საწარმოს სპეციალისტი – სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაცია და შესაბამისი რეესტრის წარმოება; საჰაერო ხომალდის ფრენისათვის ვარგისობის დადგენა და სათანადო საბორტო დოკუმენტაციის გაცემა; უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაცია და შესაბამისი რეესტრის წარმოება; ავიასაწარმოების მიერ საავიაციო ტექნიკის ტექნიკურ ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა; საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება და მის საქმიანობაზე ზედამხედველობა; უცხო ქვეყნის მიერ გაცემული საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის ან მისი ანალოგიური დოკუმენტის აღიარება;

ვ) SAFA (უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმება) ინსპექტორი – საქართველოს აეროპორტებში საქართველოს და უცხო ქვეყნის სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ბაქანზე ინსპექტირება (SAFA), ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) აეროდრომების/აეროპორტების ინსპექტორი – აეროდრომების, ვერტოდრომების სერტიფიცირება და მათზე ზედამხედველობა; აეროდრომებისა და ვერტოდრომების რეგისტრაცია; აეროდრომის შუქტექნიკური სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობა; ავიასაწვავგასამართი საწარმოების სერტიფიცირება, მათი ზედამხედველობა და შესაბამისი რეესტრის წარმოება; საწვავგასამართი საწარმოების ტექნიკური პერსონალის სერტიფიცირება, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობა, შესაბამისი რეესტრის წარმოება და ტექნიკური პერსონალის მოწმობების გაცემა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ინსპექტორი – სამოქალაქო საჰაერო ხომალდით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ზედამხედველობა და „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-18 დანართის („სახიფათო ტვირთის უსაფრთხო საჰაერო გადაზიდვა“) საფუძველზე, სახიფათო ტვირთების სამოქალაქო საჰაერო ხომალდით გადაზიდვის აკრძალვისაგან გათავისუფლება;

ი) საავიაციო უშიშროების ინსპექტორი (AVSEC) – საავიაციო საქმიანობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა; სამოქალაქო ავიაციის სფეროში მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილების მიზნით ავისაწარმოების საქმიანობის მუდმივი ა.კ. ზედამხედველობა; ავიასაწარმოების საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის პროგრამების შეთანხმება;

კ) საჰაერო მოძრაობის ორგანიზების უსაფრთხოების ინსპექტორი (ATM)/კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და რადიოსალოკაციო მომსახურების უსაფრთხოების ინსპექტორი (CNS) – საერნაოსნო მომსახურების საწარმოების სერტიფიცირება, ზედამხედველობა, ინსპექტირება, უწყვეტი მონიტორინგი და საწარმოს საერნაოსნო მომსახურების განმახორციელებლად დანიშვნის საკითხის განხილვა; საერნაოსნო მომსახურების გაწევისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებების აღიარება, საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურისა და კლასიფიკაციის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღება; საჰაერო სივრცის ორგანიზებისა და საჰაერო მოძრაობის ნაკადის ორგანიზების ზედამხედველობა;

ლ) საერნაოსნო ინფორმაციით მომსახურების უსაფრთხოების სპეციალისტი (AIS) – საერნაოსნო მომსახურების საწარმოების სერტიფიცირება, ზედამხედველობა, ინსპექტირება, უწყვეტი მონიტორინგი და საწარმოს საერნაოსნო მომსახურების განმახორციელებლად დანიშვნის საკითხის განხილვა; ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მომზადება;

მ) მეტეოროლოგიური მომსახურების უსაფრთხოების სპეციალისტი (MET) – სამოქალაქო ავიაციის მეტეოროლოგიურ მომსახურებაზე ზედამხედველობა, საავიაციო მეტეოროლოგიური მომსახურების სახეების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება; საავიაციო მეტეოროლოგიური პერსონალის მომზადებისა და კვალიფიკაციის შენარჩუნების ზედამხედველობა;

ნ) საავიაციო ძებნა-შველის სპეციალისტი (SAR) – ძებნა-შველის სამუშაოებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შეთანხმება და სამოქალაქო ავიაციის სფეროში ძებნა-შველაში ჩართული მონაწილე მხარეების ზედამხედველობა;

ო) საერნაოსნო პროცედურების/კარტოგრაფიული მომსახურების სპეციალისტი (PANS-OPS/Cartographic) – საერნაოსნო რუკების, სახელსაწყო ფრენის პროცედურებისა და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის გაერთიანებული პაკეტის შედგენასა და გამოქვეყნებაზე ზედამხედველობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პ) სამოქალაქო ავიციის საფინანსო-ეკონომიკური ანალიზის სპეციალისტი – საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემა, საქართველოში რეგისტრირებული ავიასაწარმოების საექსპლუატაციო-ეკონომიკური მონაცემების წარმოება და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მიწოდება, დადგენილი ფორმების შესაბამისად; საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულების ფინანსური შესაძლებლობების ანალიზი; საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის წარმართვა;

ჟ) უპილოტო საჰაერო ხომალდების/სისტემების სპეციალისტი – უპილოტო საჰაერო სისტემისა და უპილოტო საჰაერო ხომალდების უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა, ექსპლუატაციაზე თანხმობის გაცემა, რეგისტრაცია, ინსპექტირება;

რ) ამ პუნქტით განსაზღვრული პირების ხელმძღვანელი პირი/პირები იმ შემთხვევაში, თუ მას/მათ უშუალოდ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

4. საზღვაო სფერო:

ა) მეზღვაური – საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშით მცურავი გემების ინსპექტირება, საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების ერთჯერადი გადასვლისა და საშეღავათო ნებართვების გაცემა, საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება, საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურებში გემების მოძრაობის მონიტორინგი, საზღვაო-სამაშველო და ზღვაზე ნავთობის დაღვრის სალიკვიდაციო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება და კოორდინირება, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში საზღვაო სფეროში გასაცემ საერთაშორისო სერტიფიკატებზე/მოწმობებზე ხელმოწერა, სალოცმანო სამსახურის სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი, საქართველოს ნავსადგურების სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი და მათი კომპლექსური აუდიტი, მეზღვაურთა ცოდნის შემოწმება და სერტიფიცირება, საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების სერტიფიცირება და მონიტორინგი, საზღვაო სფეროს ინციდენტებისა და შემთხვევების მოკვლევა;

ბ) გემთმშენებელი – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, მშენებარე გემების სამშენებლო პროცესის, ასევე ეროვნული სტანდარტების დადგენა, ეკვივალენტებისა და საზღვაო ადმინისტრაციის მიერ გადასაწყვეტი პროცესების (to the satisfaction of administration) მონიტორინგი და შესაბამისობის უზრუნველყოფა;

გ) ჰიდროინჟინერი (საზღვაო) – საქართველოს საზღვაო ნავსადგურების, ნავმისადგომების, წყალგამყოფი მოლოებისა და სხვ. დაპროექტება და მშენებლობის პროცესის შეფასება, მათი მონიტორინგი საზღვაო უსაფრთხოებისა და ზღვის გარემოს დაცვის სტანდარტებზე, ასევე საზღვაო მომსახურების სფეროსთან დაკავშირებული მშენებლობების პროექტირების ეტაპზე საზღვაო უსაფრთხოების, უშიშროებისა და ზღვის გარემოს დაცვის რეკომენდაციების გაცემა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) ამ პუნქტით განსაზღვრული პირების ხელმძღვანელი პირი/პირები იმ შემთხვევაში, თუ მას/მათ უშუალოდ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ პირების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

5. ჰიდროგრაფიული სფერო:

ა) ოკეანოგრაფიული დაკვირვებებისა და საზღვაო კვლევების დაგეგმარების სპეციალისტი – საქართველოს საზღვაო სივრცეში ჰიდროგრაფიული მომსახურების უზრუნველყოფა, მონიტორინგი, საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) სტანდარტების, შუქურების ორგანიზაციის საერთაშორისო ასოციაციის (IALA) რეკომენდაციებისა და ზღვაზე სიცოცხლის უსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1974 წლის კონვენციის (SOLAS) ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების ეროვნულ დონეზე ეფექტური აღსრულების მექანიზმების დანერგვა ან მათი დანერგვის ინიციირება;

ბ) საზღვაო კარტოგრაფი – საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს ნავსადგურებში საზღვაო კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავება და ასახვა საზღვაო-სანავიგაციო ქაღალდსა და ელექტრონულ რუკებზე, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს ნავსადგურებში ნაოსნობის ინტენსივობიდან გამომდინარე კონკრეტული რაიონების იდენტიფიკაცია საზღვაო-სანავიგაციო რუკების საშუალებით;

გ) საზღვაო-სანავიგაციო რუკების კორექტორი/სპეციალისტი – საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს ნავსადგურებში მოქმედი/გამოყენებადი საზღვაო-სანავიგაციო რუკების სისტემური ანალიზი, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და კორექტირება;

დ) ჰიდროგრაფიული კვლევის ინჟინერი – საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს ნავსადგურებში ჰიდროგრაფიული კვლევის ხელსაწყოებით ზღვის სიღრმეების ბათიმეტრიული კვლევა, შელფისა და სანაპირო ზოლის კონტურების ცვლილებების აღნუსხვა/შესწავლა და ნავსადგურის შესასვლელ არხებში დაშვებული უსაფრთხო სიღრმეების მუდმივი მონიტორინგი;

ე) საზღვაო სინოპტიკოს-მეტეოროლოგი – საქართველოს საზღვაო სივრცეში ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მეტეოროლოგიურ მდგომარეობაზე დაკვირვება, მოსალოდნელი რთული მეტეოროლოგიური პირობების პროგნოზირება, არქივირება, ანალიზი და საშტორმო გაფრთხილებების გამოცემა, ასევე სამომავლო პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, წლიური მონაცემების სიღრმისეული ანალიზი;

ვ) რადიო-ნავიგაციური საშუალებების სპეციალისტი (ნავიგაციური ტელექსი) – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ სპეციალურად მინიჭებული არხის საშუალებით დღე-ღამის დადგენილ პერიოდებში საზღვაო გაფრთხილებებისა და საზღვაო-ნავიგაციური მდგომარეობის გადაცემა საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში მყოფი გემებისათვის;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) ნავიგაციის დამხმარე საშუალებების სპეციალისტი – საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებში გემების უსაფრთხო მანევრირებისათვის საზღვაო-სანავიგაციო ნიშნების, როგორც მცურავი, ასევე სახმელეთო სტაციონარულ, გამართულ მუშაობაზე მონიტორინგი, შუქურების ორგანიზაციის საერთაშორისო ასოციაციის (IALA) დადგენილი პარამეტრების მონიტორინგი და მახასიათებლების შენარჩუნება, გამოვლენილი საზღვაო საფრთხეების შემოფარგვლა გამაფრთხილებელი კარდინალური ნიშნებით, მშენებარე ნავსადგურების მარკირება და სანავიგაციო ნიშნების მუდმივი ტექნიკური მომსახურება.

მუხლი 2

1. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული პირებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, თანამდებობრივი სარგო შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართ №1-ით განსაზღვრული შესაბამისი ცხრილის (ცენტრალური ხელისუფლებისა და ქ. თბილისის საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში – ცხრილი №1, მუნიციპალიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში ცხრილ №2-ის მიხედვით) პირველი რანგის მე-10 კატეგორიის კოეფიციენტზე დამატებული ამ ნამრავლის 30%-ით.

2. ამ წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებთან მიმართებაში თანამდებობრივი სარგო შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისათვის დასაშვები კოეფიციენტის ზედა ზღვარზე დამატებული ამ ნამრავლის 30%-ით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული წესის მიხედვით გამოანგარიშებული თანამდებობრივი სარგოსგან უფრო მაღალი თანამდებობრივი სარგოს დადგენა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით.

4. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული პირების შრომის ანაზღაურება აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში და მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკრეტული თანამდებობის/პოზიციის ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრულ ფუნქციათა ერთობლიობის შინაარსთან შესაბამისობას, საჯარო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე, ადგენს სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო (შემდგომში – ბიურო).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ბიუროს მიერ გაცემული წერილობითი რეკომენდაცია ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრულ ფუნქციათა ერთობლიობის შინაარსთან შესაბამისობის შესახებ ეფუძნება საჯარო დაწესებულების მიერ ბიუროსთვის მიწოდებულ თანამდებობის/პოზიციის სამუშაო აღწერილობას.

მუხლი 4.

საჯარო დაწესებულებებმა, რომელთა საშტატო ნუსხები მოიცავს ამ დადგენილებით განსაზღვრულ ფუნქციათა ერთობლიობის შესაბამის თანამდებობებს/პოზიციებს, 2018 წლის 15 თებერვლამდე უზრუნველყონ ბიუროსთან ამ თანამდებობების/პოზიციების სამუშაო აღწერილობების შეთანხმება, ამ წესის მე-3 მუხლის მოთხოვნების შესრულების მიზნით.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №98

2018 წლის 21 თებერვალი, ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული მატერიალური საშუალებების (რომელთა ჩამოწერას, აღრიცხვიდან მოხსნას და განკარგვას არ არეგულირებს „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულება) ჩამოწერის, აღრიცხვიდან მოხსნისა და განკარგვის შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამ დადგენილებით განსაზღვრულ წესს დაექვემდებაროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული იმ მატერიალური საშუალებების ჩამოწერა, აღრიცხვიდან მოხსნა და განკარგვა, რომლის ჩამოწერას, აღრიცხვიდან მოხსნასა და განკარგვას არ არეგულირებს „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულებით დამტკიცებული „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების“ მე-2 თავით დადგენილი წესით ჩამოწერასა და აღრიცხვიდან მოხსნას ექვემდებარება:

ა) ამავე ბრძანებულების 39-ე პუნქტით გათვალისწინებული მატერიალური საშუალებები, თუ შეუძლებელია მათი ფასის მითითება ტექნიკური მდგომარეობის აქტში;

ბ) მატერიალური საშუალებები, რომლის ვარგისიანობის ვადა უცნობია და ფაქტობრივად გამოუსადეგარ მდგომარეობამდე მივიდა ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში. ამ ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება მატერიალურ საშუალებებზე, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ტექნიკური მდგომარეობის აქტში მათი ფასის მითითება;

გ) საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები, თუ ვერ ხერხდება მათი იდენტიფიცირება და ვარგისიანობის ვადის დადგენა. ამ ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება საბრძოლო მასალასა და ასაფეთქებელ ნივთიერებებზე, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ტექნიკური მდგომარეობის აქტში მათი ფასის მითითება;

დ) მატერიალური საშუალებები, რომლებიც ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ვადაზე ადრე გამოვიდა მწყობრიდან/დაზიანდა, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ტექნიკური მდგომარეობის აქტში მათი ფასის მითითება.

მუხლი 3

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულებით დამტკიცებული „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების“ მე-3 თავით დადგენილი წესით ჩამოწერასა და აღრიცხვიდან მოხსნას ექვემდებარება:

ა) ამავე ბრძანებულების 39-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მატერიალური საშუალებები, თუ კომპლექტაციის მთლიანობა დარღვეულია, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა საინსპექტორო მოწმობაში ფასის ან/და ზარალის ოდენობის მითითება;

ბ) ამავე ბრძანებულების 63-ე პუნქტით გათვალისწინებული მატერიალური საშუალებები, თუ შეუძლებელია მათი ფასის ან/და ზარალის ოდენობის მითითება საინსპექტორო მოწმობაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მატერიალური საშუალებები, რომლებიც დაიკარგა, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა საინსპექტორო მოწმობაში ფასის ან/და ზარალის ოდენობის მითითება.

მუხლი 4

ამ დადგენილებით გათვალისწინებული მატერიალური საშუალებების ჩამოწერაზე, აღრიცხვიდან მოხსნაზე, მატერიალური საშუალებების ვარგისი ნაწილების გამოცალკევებაზე, აგრეთვე ჩამოწერილ და აღრიცხვიდან მოხსნილ მატერიალურ საშუალებებზე, აგრეთვე მათი დაშლის შემდეგ მიღებული ქონების შემდგომ გამოყენებასა და განკარგვაზე ვრცელდება „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულებით დადგენილი წესი.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №83

2018 წლის 23 თებერვალი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. **მე-3 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გარდა ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50სმ 3-ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვისას, მაგრამ არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა, რომელიც აითვლება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (დანართი №II-01) რეგისტრაციის ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით კონტეინერის რეგისტრაციის ან საბაჟო საწყობის მიერ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საგადასახადო ორგანოსათვის მე-4 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდების მომენტიდან.“.

2. **მე-6 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„12. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტით გადაადგილების ვადა შეადგენს 20 კალენდარულ დღეს, ხოლო სეს ესნ-ის 8702, 8703, 8704, 8711 ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (აგრეთვე ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის) შემთხვევაში – არაუმეტეს 60 კალენდარულ დღეს.“.

3. **მე-17 მუხლის 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2^1. საბაჟო საწყობში დროებით შენახულ საქონელზე (როგორც სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრამდე, ასევე იმ საქონელზე, რომელზედაც უკვე განსაზღვრულია სასაქონლო ოპერაცია) დროებით შენახვის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 180 დღით, დროებით შენახვის წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე, დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.“.

4. **44-ე მუხლის**:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იმპორტის დროს – პირველი–მე-11 და R გრაფებს. დეკლარაციის მე-12 გრაფა არ ივსება;“;

ა.ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) საწყობის დროს – პირველი–მე-12 და R გრაფებს.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გრაფა 12. „დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტი/საბაჟო საწყობი/შენახვის სხვა ადგილი და ვადა“ – ივსება ექსპორტის, რეექსპორტის ან საწყობის სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში. ამასთან, საწყობის სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში მიეთითება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის კოდი და საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის თარიღი.“.

5. **დანართი №VIII-01 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით**.

6. **59-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტით გადაადგილების ვადა შეადგენს 20 კალენდარულ დღეს, ხოლო სეს ესნ-ის 8702, 8703, 8704, 8711 ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (აგრეთვე ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის) შემთხვევაში – არაუმეტეს 60 კალენდარულ დღეს.“.

7. 61-ე **მუხლის** მე-3 **პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** მე-4 **და** მე-5 **პუნქტები**:

„4. საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

5. საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში:

ა) წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე თავდაპირველ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება და მიეთითება საქონლის შენახვის გაგრძელებული ვადა დღეებში, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში მიეთითება საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის ახალი თარიღი;

ბ) წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რაც წარმოადგენს სასაქონლო ოპერაციის პირობების დარღვევას, წარმოდგენილი უნდა იქნეს ახალი საბაჟო დეკლარაცია.“.

8. მე-80 **მუხლის** მე-5 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. გარე გადამუშავებაზე სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, საქონლის საბაჟო საწყობში დროებით შენახვისას – დროებით შენახვის განაცხადის რეგისტრაციის თარიღიდან არა უგვიანეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დროებით შენახვის ვადისა, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილში დროებით შენახვისას – ფაქტობრივი განთავსების დღიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №VIII-01

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია

1. იმპორტიორი/ექსპორტიორი

2. წარმომადგენელი

3. გამომგზავნი ქვეყანა/დანიშნულების ქვეყანა

4. VIN კოდი

შასის ნომერი

N00000/00000

ოპერაცია
R

9. წინმსწრები დოკუმენტი

10. სატრანზიტო ნომერი

5	საქონლის აღწერა		
5.1	5.2	5.3	
საქონლის კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად	ძრავის მოცულობა	მანქანის მარკა მოდელი	
		გამოშვების წელი	
6. შევსების თარიღი			
7.საბაჟო ღირებულება (ლარი)			

11.	გადასახდელების გაანგარიშება	
დარიცხვა ლარი	11.1	იმპორტის გადასახადი
	11.2	აქციზი
	11.3	დღგ
	11.4	სულ დაერიცხა

8. ხელმოწერა ----------

D	

12	დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტი/საბაჟო საწყობი/შენახვის სხვა ადგ და ვადა	
12.1	საბაჟო გამშვები პუნქტის/საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის კოდი	
12.2	საბაჟო გამშვებ პუნქტში ან დროებ დასაწყობების ადგილზე საქონლის მიტანის საბოლოო თარიღი	
12.3	საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვის ვად ამოწურვის თარიღი	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №84

2018 წლის 23 თებერვალი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31/12/2014, სარეგისტრაციო კოდი 200250000.22.033.016708) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-6 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-4 და მე-9 პუნქტების, 18^4 მუხლის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:“ю;

2. ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ჟ“, „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ჟ) საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა;

რ) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა;

ს) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები.“ю.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №14/ნ

2018 წლის 20 თებერვალი, ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 21/02/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-15 მუხლის:

1. მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

„71. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსების დროს პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცენტრი იტოვებს შესაძლებლობას აბიტურიენტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ცენტრში.“.

2. მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საგამოცდო ცენტრის დასახელება და მისამართი, სადაც აბიტურიენტი ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №18/ნ

2018 წლის 23 თებერვალი, ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში (სსმ, 14, 05/02/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.014168) და:

1. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ (დანართი №1):

ა) მე-5 მუხლის 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით ან აკრედიტაციის გაუქმებით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, ამ დაწესებულებების სტუდენტთა რიგგარეშე (დამატებითი) მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ, ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში, გამარტივებული წესით.“;

ბ) მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1. რიგგარეშე მობილობის ჩატარება გამარტივებული წესით

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით ან აკრედიტაციის გაუქმებით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, ამ დაწესებულებების სტუდენტთა რიგგარეშე მობილობა ტარდება გამარტივებული წესით.

2. გამარტივებული წესით რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის არ გამოიყენება ელექტრონული პორტალი.

3. რიგგარეშე მობილობა ცხადდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება:

ა) დაწესებულების მიერ რიგგარეშე მობილობით საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის, აგრეთვე სწავლის საფასურის შესახებ ცენტრში ინფორმაციის წარდგენის ვადა;

ბ) რიგგარეშე მობილობით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარდგენის ვადა;

გ) სტუდენტის რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოსბრძანების გამოცემის ვადა.

4. ცენტრი ამოწმებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისობას მისთვის განსაზღვრულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის, არსებული სტუდენტების რაოდენობისა და დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მონაცემებთან. გადამოწმების პროცესში ცენტრი იყენებს რეესტრში არსებულ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ რეესტრში ინფორმაციის შეუტანლობა ხარვეზის დადგენის, ხოლო მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციის რიგგარეშე მობილობის პროცესში გათვალისწინებაზე უარის თქმის საფუძველია.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით, ინფორმაციის გადამოწმების საფუძველზე, ცენტრი დაწესებულებების მიერ წარდგენილ ინფორმაციას აქვეყნებს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტებს უფლება აქვთ, ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ჩარიცხვის მიზნით განცხადებით მიმართონ მიმღები დაწესებულებების ჩამონათვალიდან მათთვის სასურველ, ნებისმიერ დაწესებულებას.

7. მიმღები დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას ადგენს ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. მიმღები დაწესებულება ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის შემდეგაც ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას ამ წესის მოთხოვნებთან და რეესტრის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ცენტრი უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაციაც.

9. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა დაწესებულების ბრძანება სტუდენტის რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ.

10. დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანება სტუდენტის რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.

11. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმით ან აკრედიტაციის გაუქმებით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, ამ დაწესებულებების სტუდენტთა რიგგარეშე მობილობისას, რეესტრის მონაცემების საფუძველზე, იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ და არაუგვიანეს 5 დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია.“.

2. **ბრძანების** 1^1 **პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის საფასურის“ მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს რიგგარეშე მობილობაში;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №32/04

2018 წლის 20 თებერვალი, ქ. თბილისი

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 19 თებერვლის №49 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 19 თებერვლის №49 ბრძანება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის

ვიცე–პრეზიდენტი (მოვალეობის

შემსრულებელი)

არჩილ მესტვირიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №34/04

2018 წლის 23 თებერვალი, ქ. თბილისი

„მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასის გამოხატვასთან დაკავშირებით განსხვავებული წესის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №93/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასის გამოხატვასთან დაკავშირებით განსხვავებული წესის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №93/04 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 23.06.2017, სარეგისტრაციო კოდი: 220090000.18.011.016246) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **პირველი მუხლის**:

ა) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ავიაბილეთების რეალიზაციასთან, სასტუმროს და ტურისტულ მომსახურებასთან, თუ აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ უცხო ენაზე (აღნიშნული არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ გარე რეკლამაზე), ასევე აზარტულ თამაშობებთან.”;

ბ) **პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 1^1 **პუნქტი**:

„1^1. სასტუმროს ან/და ტურისტული მომსახურების ინდივიდუალურ შეთავაზებასთან, თუ აღნიშნული მომსახურების საბოლოო მიმღებს წარმოადგენს არარეზიდენტი.“;

გ) **მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8. არარეზიდენტის მიერ (მათ შორის, მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით) მომსახურების გაწევასთან ან/და სამუშაოს შესრულებასთან ან/და საქონლის მიწოდებასთან; არარეზიდენტისათვის მომსახურების გაწევასთან ან/და სამუშაოს შესრულებასთან ან/და საქონლის მიწოდებასთან, თუ აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ უცხო ენაზე. ეს პუნქტი არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ გარე რეკლამაზე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-2 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 2

ამ ბრძანების მიზნებისათვის არარეზიდენტად ითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არარეზიდენტი იურიდიული პირი, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – უცხო ქვეყნის მოქალაქე.“.

მუხლი 2

მეწარმეები ვალდებული არიან, 2018 წლის 1 აპრილამდე, თავიანთი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანონ ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის

ვიცე–პრეზიდენტი (მოვალეობის

შემსრულებელი)

არჩილ მესტვირიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №37/04

2018 წლის 28 თებერვალი, ქ. თბილისი

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 50-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 50[1] მუხლის, 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

2019 წლის პირველი იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 07 თებერვლის №27/04 ბრძანება.

მუხლი 3

ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების და ვალუტის გადაცვლის ოპერაციის გაუქმების წესის შემოღების აუცილებლობით, რომლის განსაზღვრის ვალდებულება გათვალისწინებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 28 თებერვლიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების (შემდგომში – პუნქტი) რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, ასევე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალის (შემდგომში – ფილიალი) საქმიანობის დაწყების/შეწყვეტის და საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მათი საქმიანობის რეგულირების საკითხებს.

2. ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ მეწარმე სუბიექტი (გარდა კომერციული ბანკისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ამ წესით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) უფლებამოსილია პუნქტში/ფილიალში განახორციელოს მხოლოდ ნაღდი ფულის გადაცვლის ოპერაციები, როგორც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა.

3. პუნქტის რეგისტრაცია, ფილიალის საქმიანობის ნებართვა არის უვადო და ამ რეგისტრაციით/ნებართვით მიღებული საქმიანობის განხორციელების უფლების სხვა პირზე გადაცემა აკრძალულია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) რეგისტრაცია – ეროვნული ბანკის მიერ მეწარმე სუბიექტისთვის განუსაზღვრელი ვადით მინიჭებული უფლება, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით განახორციელოს ეროვნული და უცხოური ვალუტის ნაღდი სახით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები;

ბ) პუნქტი – ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი, რომელიც ეროვნული და უცხოური ვალუტის ნაღდი სახით ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ახორციელებს;

გ) პუნქტის ფილიალი – პუნქტის ქვედანაყოფი, რომელიც ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ახორციელებს პუნქტის სახელით;

დ) საოპერაციო ფართი – მომხმარებლებისა და სხვა ობიექტებისაგან იზოლირებული ფართი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, სადაც პუნქტის/ფილიალის წარმომადგენლის მიერ ხორციელდება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები და ინახება ამ ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტები;

ე) ვალუტის ყიდვა – უცხოური ვალუტის შესყიდვა ლარით;

ვ) ვალუტის გაყიდვა – უცხოური ვალუტის გაყიდვა ლარზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზ) საკომისიო –ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციაზე დაწესებული გადასახდელი;

თ) საყურადღებო კურსი –კურსი, რომლის დროსაც ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა აღემატება 3%-ს ან როდესაც ვალუტის შესყიდვის ან/და გაყიდვის კურსი 3%-ით ან მეტით არის გადახრილი იმ დღისათვის არსებულ სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსიდან;

ი) ბენეფიციარი მესაკუთრე – ფიზიკური პირი, რომელიც არის მეწარმე სუბიექტის საბოლოო მფლობელი ან მაკონტროლებელი პირი ან/და რომლის სახელითაც ხორციელდება გარიგება (ოპერაცია); მეწარმე სუბიექტის ბენეფიციარი მესაკუთრე არის მისი წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 10 პროცენტის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით საბოლოო მესაკუთრე, მფლობელი ან/და მაკონტროლებელი ფიზიკური პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც სხვაგვარად ახორციელებს კონტროლს სამეწარმეო იურიდიული პირის მართვაზე;

კ) სავაჭრო ცენტრი – საერთო ადმინისტრაციის მქონე შენობაში განთავსებული კომპლექსი, იზოლირებულ ფართზე განლაგებული, ინდივიდუალური შესასვლელის მქონე სავაჭრო ობიექტი, რომელშიც საქმიანობას ახორციელებენ მეწარმე სუბიექტები;

ლ) დაინტერესებული პირი – ინდივიდუალური მეწარმე პირი ან იურიდიული პირი, რომელიც ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით პუნქტის რეგისტაციის თაობაზე;

მ) კონსოლიდირებული ანგარიშგება – ერთი სარეგისტრაციო ნომრის მქონე პუნქტისა და მისი ფილიალის/ფილიალების ნაერთი ანგარიშგება.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობები.

მუხლი 3. რეგისტრაციის პირობები

1. დაინტერესებული პირი, პუნქტის რეგისტრაციის მიზნით, ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით (დანართი №1). დოკუმენტების ჩაბარების თარიღად ითვლება ეროვნული ბანკის მიერ განცხადებაზე მითითებული თარიღი.

2. დაინტერესებული პირის განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) დირექტორის და ბენეფიციარი მესაკუთრის/მესაკუთრეების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის/მესაკუთრეების შესახებ;

გ) დირექტორის, აქციონერის/პარტნიორის და ბენეფიციარი მესაკუთრის ნასამართლეობის თაობაზე ცნობის დედანი ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის გაცემიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნების შემთხვევაში – 60 კალენდარულ დღეს;

დ) ვალუტის გადაცვლის ოპერაციების აღსარიცხავად, სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, საგანგაშო ღილაკის დამონტაჟების შეუძლებლობის შემთხვევაში - შესაბამისი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

ვ) გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის ასლი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ დაინტერესებული პირის მიერ, რომელსაც სურს ვალუტის გადაცვლის საქმიანობა აწარმოოს თბილისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ოზურგეთის, ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ საზღვრებში;

ზ) სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

3. ამ წესის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

4. პირს ეკრძალება იყოს პუნქტის მფლობელი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე, მისი დირექტორი ან/და ბენეფიციარი მესაკუთრე/მესაკუთრეები, თუ ის ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

5. პუნქტის/ფილიალის საოპერაციო ფართი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არანაკლებ 4 (ოთხი) კვადრატული მეტრისა;

ბ) იზოლირებული სხვა ობიექტებისგან და მომხმარებლებისგან;

გ) უნდა ჰქონდეს სხვა ობიექტებისგან დამოუკიდებელი შესასვლელი კარი, იმგვარად, რომ არ იყოს შესაძლებელი პუნქტთან/ფილიალთან მოხვედრა სხვა ობიექტის გავლით (გამონაკლისს წარმოადგენს სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, სამორინეები, აეროპორტები, რკინიგზის და ავტოსადგურები და სხვა მსგავსი ობიექტები).

6. პუნქტის/ფილიალი აღჭურვილი უნდა იყოს ყალბი ფულის ამომცნობი საშუალებით, კომპიუტერით – სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, საბეჭდი და ასლგადამღები საშუალებებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. მეწარმე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს სასტუმროს საქმიანობას, უფლებამოსილია, პუნქტის რეგისტრაციის გარეშე სასტუმროს ტერიტორიაზე განახორციელოს ვალუტის გადაცვლის ოპერაციები, თუ სასტუმროს მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის გადაცვლის თითოეული ოპერაცია ერთ პირზე დღიურად არ აღემატება 2000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში). თუ თანხის გადაცვლის ერთ-ერთი ოპერაცია აღემატება 2000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში), სასტუმროს მფლობელი ვალდებულია განახორციელოს პუნქტის რეგისტრაცია, რეგისტრაციისათვის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

8. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რეგისტრაციის მიზნებისათვის დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

მუხლი 4. გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე

1. ეროვნული ბანკი განცხადების მიღებიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას პუნქტის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2. რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება პუნქტის საფირმო სახელწოდება, მისამართი, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.

3. თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს 30 კალენდარულ დღეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება.

4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს უარი უთხრას პუნქტის რეგისტრაციაზე, თუ:

ა) აღნიშნული პირი, მისი დირექტორი, აქციონერი/პარტნიორი ან/და ბენეფიციარი მესაკუთრე ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

ბ) მეწარმე სუბიექტის მიერ გაშვებულია ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადა;

გ) აღნიშნული პირის, მისი დირექტორის, აქციონერის/პარტნიორის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ არ არის გადახდილი პუნქტის რეგისტრაციის მოთხოვნამდე ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) ეროვნულ ბანკს განცხადებით მიმართავს იმ პუნქტის დირექტორი, აქციონერი/პარტნიორი ან/და ბენეფიციარი მესაკუთრე, რომელსაც ამ წესის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“, “ვ“ „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „ნ“, „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე გაუუქმდა რეგისტრაცია და მისი გაუქმებიდან არ გასულა 2 წელი ან ძალაშია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ;

ე) აღნიშნული პირის რეგისტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციის სავალდებულო გადაწყვეტილებით ან/და რეკომენდაციით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა ან/და შეუსრულებლობა ან/და საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმების დარღვევა;

ვ) ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციით დაინტერესებული პირი (სუბიექტი, ადმინისტრატორი/დირექტორი, მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, ბენეფიციარი მესაკუთრე) არღვევს სამეწარმეო ან/და საფინანსო კანონმდებლობას ან/და ახორციელებს ისეთ სამეწარმეო პრაქტიკას, რომელიც საფრთხეს უქმნის ან რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონკრეტული სუბიექტის ან/და საფინანსო სექტორის ჯანსაღ ფუნქციონირებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს პუნქტის რეგისტრაციაზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.

6. განცხადებაში არსებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, პუნქტი წერილობით ინფორმაციას აწვდის ეროვნულ ბანკს ცვლილების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ეროვნული ბანკი ახორციელებს ცვლილებას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და შესაბამის სარეგისტრაციო რეესტში.

7. მისამართის ცვლილების შემთხვევაში პუნქტი ვალდებულია წამოადგინოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და დააკმაყოფილოს ამავე წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

8. ეროვნული ბანკი აწარმოებს პუნქტების სარეგისტრაციო ელექტრონულ რეესტრს, სადაც აისახება ინფორმაცია რეგისტრაციის, სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებებისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მუხლი 5. რეგისტრაციის გაუქმება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პუნქტს გაუუქმოს რეგისტრაცია, თუ:

ა) პუნქტი წერილობითი განცხადებით მიმართავს ეროვნული ბანკს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) პუნქტის მფლობელი ფიზიკური პირი (ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში) გარდაიცვალა ან სასამართლოს მიერ გამოცხადდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან მხარდაჭერის მიმღებად;

გ) განხორციელდა პუნქტის მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

დ) კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე;

ე) დადგინდა, რომ განცხადება შევსებულია ყალბი მონაცემების საფუძველზე;

ვ) დადგინდა, რომ პუნქტმა ეროვნულ ბანკს არ შეატყობინა განცხადებაში შეტანილი მონაცემების ცვლილების თაობაზე.

ზ) დარღვეულია ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული რეგისტრაციის პირობები;

თ) დადგინდა, რომ პუნქტმა ეროვნულ ბანკს არ შეატყობინა ფილიალის გახსნის თაობაზე;

ი) პუნქტმა ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად მივლინებული ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ დაუშვა შემოწმებაზე;

კ) ეროვნული ბანკის შემმოწმებელს პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი არ დახვდა რეგისტრირებულ მისამართზე ან პუნქტი არ მოიძებნა რეგისტრირებულ მისამართზე;

ლ) არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით ან/და ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მ) რეგისტრაციიდან 3 თვის განმავლობაში არ განახორციელა პუნქტის საქმიანობა;

ნ) ვალუტის გადამცვლელი პუნტის საოპერაციო ფართში ხორციელდება ნაღდი ფულის გადაცვლის ოპერაციებისგან განსხვავებული ნებისმიერი სხვა სამეწარმეო საქმიანობა;

ო) დარღვეულია ამ წესის მე-7 მუხლის მოთხოვნები.

2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას პუნქტის რეგისტრაციის გაუქმებაზე:

ა) თუ პუნქტის მიერ არ არის გადახდილი ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა;

ბ) რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე ან მოთხოვნის მომენტისათვის მიმდინარეობდა პუნქტის/ფილიალის ეროვნული ბანკის მიერ შემოწმება ან/და პუნქტს არ ჩაბარებია შემოწმების აქტი და შემოწმების აქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფაქტის დადგომის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაუგზავნოს წერილობითი მითითება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პუნქტის მფლობელ მეწარმე სუბიექტს შემოწმების უზრუნველყოფის მოთხოვნით, ხოლო ამ წერილობითი მითითების 30 კალენდარულ დღის ვადის შეუსრულებლობის შემთხვევაში უუქმებს მას რეგისტრაციას. ამასთან, წერილობითი მითითების ფოსტით დაბრუნების შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია არ დაიცვას ზემოაღნიშნული 30 კალენდარულ დღიანი ვადა და გააუქმოს პუნქტის რეგისტრაცია.

მუხლი 6. ფილიალის გახსნა და მისი საქმიანობის შეწყვეტა

1. პუნქტი ფილიალის გახსნის მიზნით, ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით (დანართი №2). დოკუმენტების ჩაბარების თარიღად ითვლება ეროვნული ბანკის მიერ განცხადებაზე მითითებული თარიღი.

2. პუნქტის განცხადებას უნდა ერთოდეს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

3. ფილიალი უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს.

4. ეროვნული ბანკი განცხადების მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ფილიალის გახსნაზე ნებართვის გაცემის ან უარის თქმის თაობაზე და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პუნქტის სარეგისტრაციო ნომრით.

5. ფილიალის საქმიანობის ნებართვის/უარის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება იმ პუნქტის საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის ნომერი, რომლის ფილიალზეც გაიცემა ნებართვა/უარი და ფილიალის მისამართი და ნებართვის გაცემის თარიღი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.

7. თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს 30 კალენდარულ დღეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩერდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება.

8. ფილიალის/ფილიალების საქმიანობაზე პასუხისმგებელია პუნქტი.

9. ფილიალის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვული პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები.

10. პუნქტის ყველა არსებული ფილიალის საქმიანობა წყდება პუნქტის რეგისტრაციის გაუქმებისას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

11. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საქმიანობის უფლება შეუწყვიტოს ცალკეულ ფილიალს.

12. ფილიალის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

13. ფილიალის გახსნაზე ნებართვის/საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მონაცემები აისახება ეროვნული ბანკის პუნქტების სარეგისტრაციო ელექტრონულ რეესტრში.

მუხლი 7. პუნქტის/ფილიალის ვალდებულებები

1. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია:

ა) თვალსაჩინო ადგილას განათავსოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) სალაროსთან განათავსოს შემდეგი ინფორმაცია მსხვილი (მინიმუმ 28) შრიფტით:

ბ.ა) „ვიყენებთ საკომისიოს – We are using commision fee“ (არსებობის შემთხვევაში);

ბ.ბ) „ვიყენებთ საყურადღებო კურსს – We are using notable exchange rate“ (არსებობის შემთხვევაში);

ბ.გ) „მოითხოვეთ ქვითარი – Request a receipt!“;

ბ.დ) „ტრანზაქციის გაუქმება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში! – Transaction can be cancelled within 30 minutes after you receive the receipt!“.

გ) თვალსაჩინო ადგილას განათავსოს ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსების ამსახველი ელექტრონული დაფა, რომელზეც ერთნაირი შრიფტით, ზომითა და განათებით ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

გ.ა) ვალუტის დასახელება;

გ.ბ) ვალუტის ყიდვის კურსი მეასედის სიზუსტით (მარცხნივ);

გ.გ) ვალუტის გაყიდვის კურსი მეასედის სიზუსტით (მარჯვნივ);

გ.დ) მომხმარებელთა საყურადღებოდ: საკომისიოს ოდენობა და საყურადღებო კურსი (არსებობის შემთხვევაში);

2. პუნქტმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს კონსოლიდირებული კვარტალური ანგარიშგება MSExcel-ის ფორმატში (დანართი №3), როგორც დირექტორის ან უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული, მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, საანგარიშგებო კვარტალის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ორივე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს იდენტური. ფორმებს შორის განსხვავების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მატერიალურ ფორმას. ანგარიშგების ელექტრონულად წარდგენა უნდა განხორციელდეს ელექტრონულ მისამართზე valuta@nbg.gov.ge.

3. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია იქონიოს ამ წესით განსაზღვრული სარეგისტრაციო პირობების შესაბამისად მოწყობილი საოპერაციო ფართი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყალბი ფულის ამომცნობი საშუალებით, კომპიუტერით, შესაბამისი საბეჭდი და ასლგადამღები საშუალებებით.

4. პუნქტი/ფილიალი ვალდებული უზრუნველყოს მის მიერ და კლიენტთან/კლიენტებთან განხორციელებული ოპერაციების იმავდროული აღრიცხვა სპეციალურ საოპერაციო პროგრამაში იმდაგვარად, რომ დროის ნებისმიერ მომენტში სააღიცხვო მონაცემებში დაფიქსირებული ინფორმაცია (ოპერაციები და ნაშთები) ედრებოდეს საოპერაციო ფართში არსებულ ფაქტობრივ ნაშთებს სპეციალურ საოპერაციო პროგრამაში ინფორმაციის აღიცხვა უნდა მოხდეს პუნქტისა და ფილიალების ჭრილში.

5. სპეციალურ საოპერაციო პროგრამას უნდა გააჩდეს ცალკ-ცაკლე პუნქტის და ფილიალების ჭრილში, ასევე კონსოლიდირებულად, განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ ინფორმაციის ამოღების შესაძლებლობა.

6. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია ასახული უნდა იქნეს პროგრამულად და ამოიბეჭდოს შესაბამისი ქვითარი, რომელიც უნდა გადაეცეს კლიენტს. პუნქტი თავად განსაზღვრავს ქვითრის ფორმას, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პუნქტის/ფილიალის დასახელება და მისამართი;

ბ) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ქვითრის №;

გ) შემოსული და გასული ვალუტის დასახელება და თანხის ოდენობა;

დ) გადაცვლის კურსი;

ე) კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები (კლიენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

ვ) ტრანზაქციის განხორციელების დრო (წუთი, საათი) და თარიღი;

ზ) ორივე მხარის ხელმოწერა;

თ) „ტრანზაქციის გაუქმება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში!“ „Transaction can be cancelled within 30 minutes after you receive the receipt!“.

7. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია მომსახურების გაწევისას მომხმარებელს სიტყვიერად მიაწოდოს სრული ინფორმაცია ვალუტის საყურადღებო გაცვლითი კურსის და მომსახურების საკომისიოს (ასეთების არსებობის შემთხვევაში) ოდენობის შესახებ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია ვალუტის გაცვლის ოპერაციის განხორციელებიდან 30 წუთის განმავლობაში მომხმარებლის მოთხოვნით, ქვითრის წარდგენის შემთხვევაში, გააუქმოს აღნიშნული ოპერაცია და დააბრუნოს გაცვლილი ვალუტა.

9. პუნქტის/ფილიალის მიერ კომერციულ ბანკში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ან სხვა პუნქტში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის განხორციელებისას, აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული ოპერაციის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია ასახული უნდა იქნეს პროგრამულად და ამოიბეჭდოს შესაბამისი ქვითარი და შეინახოს აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული ოპერაციის დამადასტურებელ საბუთთან ერთად. აღნიშნული ქვითარი უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

ა) პუნქტის/ფილიალის დასახელება და მისამართი;

ბ) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ქვითრის №;

გ) იმ კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან სხვა პუნქტის საფირმო სახელწოდება, სადაც განხორციელდა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია;

დ) პუნქტის/ფილიალის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი №), რომელიც დაფიქსირებულია ზემოაღნიშნულ ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემულ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის დამადასტურებელ საბუთში;

ე) შემოსული და გასული ვალუტის დასახელება და თანხის ოდენობა;

ვ) გადაცვლის კურსი;

ზ) ოპერაციის განხორციელების თარიღი და დრო;

თ) ორივე მხარის ხელმოწერა.

10. „ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მიღებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მომსახურების ქვითრის“ ან ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული ოპერაციის დამადასტურებელი საბუთის ელექტრონული ხელმოწერით დადასტურების შემთხვევაში, პუნქტმა უნდა უზრუნველყოს გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის შესაბამისობა „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 თებერვლის №18/04 ბრძანების მოთხოვნებთან და მომსახურების ქვითრის ელექტრონული სახით შენახვა.

11. ზემოაღნიშნული ოპერაციის ასახვის დროს მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითება სავალდებულოა მხოლოდ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში; „ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ გაწეული მომსახურების ქვითრის" ელექტრონული ხელმოწერით

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დადასტურების შემთხვევაში, ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა უნდა უზრუნველყოს გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის შესაბამისობა „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 თებერვლის №18/04 ბრძანების მოთხოვნებთან. კლიენტის მიერ მომსახურების ქვითრის დედნის ელექტრონული სახით მიღება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ სანდო და დაცული გზით, რომელსაც კომერციული ბანკები იყენებენ იმ ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის ხელმისაწვდომობისთვის, რომელი ელექტრონული ხელმოწერის საბანკო სექტორში გამოყენებაც ხორციელდება ამ ქვეპუნქტში აღნიშნული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად. ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერით ხელმოწერილი ქვითრის ელექტრონული სახით შენახვა.

12. პუნქტში/ფილიალში საეჭვო (ყალბი) ფულის გამოვლენის შემთხვევაში შეადგინოს ცნობა (დანართი №4) სამ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა მომხმარებელს, მეორე რჩება სალაროს, მესამე ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 15 სამუშაო დღის განმავლობაში ატყობინებს პუნქტს. ნამდვილი/გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება მომხმარებელს, ხოლო ყალბი ან ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება. მოთხოვნის შემთხვევაში ნამდვილი, მაგრამ გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი უბრუნდება მომხმარებელს. იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის მფლობელი უარს აცხადებს ცნობაზე ხელის მოწერაზე, პუნქტი ვალდებულია შესაბამისი ჩანაწერი გააკეთოს ცნობაზე.

13. პუნქტმა რეგისტრაციიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში უნდა წარადგინოს პუნქტების აღრიცხვის ფორმა, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

14. პუნქტი ვალდებულია შეასრულოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ" საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები და წერილობითი მითითებები.

15. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია უზრუნველყოს დოკუმენტების, აგრეთვე სპეციალურ საოპერაციო პროგრამაში აღიცხული ელექტრონული მონაცემების დაარქივება და უსაფრთხოდ შენახვა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვადით.

მუხლი 8. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა განთავსდეს პუნქტის/ფილიალის შიგნით და გარეპერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა პუნქტის/ფილიალის შიგნით უნდა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს პუნქტში/ფილიალში შემომსვლელი პირების ვიზუალურად დანახვა.

2. გარეპერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილ პარამეტრებსა და ტექნიკურ მახასიათებლებს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით დამონტაჟება, მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროდან წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობა, ამ წესის მოთხოვნებისაგან განსხვავებული განლაგებით დამონტაჟების თაობაზე.

3. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული ინფორმაცია შესაბამისი ჩანაწერებით ინახება და მისი ამოღება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის“ შესაბამისად.

4. თუ პუნქტებს ან/და მეწარმე სუბიექტს, რომელსაც კანონმდებლობით ეკისრება გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების ვალდებულება, აქვთ საერთო შესასვლელი ან რომელთა შესასვლელი განლაგებულია ფეხით მოსიარულეთა გზის ერთსა და იმავე სავალ ნაწილზე ერთმანეთის გვერდით, არაუმეტეს 10 მეტრის დაშორებით, მაშინ პუნქტი/ფილიალი უფლებამოსილია, შემოწმების ობიექტებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაამონტაჟოს გარე ვიდეომეთვალყურეობის საერთო სისტემა.

5. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის გათიშვის ან/და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანების გამო პუნქტი/ფილიალი ვერ უზრუნველყოფს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართულ მუშაობას, პუნქტი/ფილიალის ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. პუნქტმა/ფილიალმა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანება უნდა აღმოფხვრას გონივრულ ვადებში.

6. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში იქონიოს ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული დაცვის საგანგაშო ღილაკი და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

მუხლი 9. პუნქტის შემოწმება

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს პუნქტის/ფილიალის საქმიანობის შემოწმება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ამ წესითა განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ეროვნული ბანკის წერილობით მითითებებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ბ) „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მუხლი 10. **გარდამავალი დებულებანი**

1. ეს წესი ვრცელდება ამ წესის ამოქმედების შემდეგ რეგისტრირებულ პუნქტებზე და მათ ფილიალებზე, ასევე, ამ წესის ამოქმედებამდე რეგისტრირებული პუნქტების მიერ გახსნილ ფილიალებზე.

2. ამ წესის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ პუნქტებზე ეს წესი ვრცელდება 2019 წლის პირველი იანვრიდან, გარდა ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 და მე-8 პუნქტების მოთხოვნებისა.

3. ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 და მე-8 პუნქტების მოქმედება ამ წესის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ პუნქტებზე ვრცელდება ამ წესის ამოქმედებისთანავე.

4. ამ წესის ამოქმედებამდე რეგისტრირებული პუნქტები უფლებამოსილნი არიან 2019 წლის პირველ იანვრამდე იხელმძღვანელონ „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 07 თებერვლის №27/04 ბრძანებით, გარდა ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 და მე-8 პუნქტებისა და ვალდებულნი არიან 2019 წლის პირველ იანვრამდე შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი საქმიანობა ამ წესის მოთხოვნებთან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

საქართველოს ეროვნულ ბანკს

განცხადება რეგისტრაციაზე

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის (მიეთითოს ბრძანების თარიღი და ნომერი) ბრძანების შესაბამისად, გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ვალუტის გადამცვლელი პუნქტი წინამდებარე განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე:

საფირმო სახელწოდება _____

სამართლებრივი ფორმა _____

საიდენტიფიკაციო კოდი _____

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი _____

ბენეფიციარი მესაკუთრე/მესაკუთრეები _____

იურიდიული მისამართი _____

ფაქტობრივი მისამართი _____

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი _____

ელექტრონული ფოსტის მისამართი _____

მომსახურე კომერციული ბანკი/ბანკები _____

ანგარიშების რეკვიზიტები ბანკში (ბანკებში) _____

მომსახურებისას ვიყენებ (შემოხაზეთ) საკომისიოს/საყურადღებო კურსს

_____

აღნიშნულ განცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

1. გავეცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას და ვაკმაყოფილებ „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის (მიეთითოს ბრძანების თარიღი და ნომერი) ბრძანების სარეგისტრაციო პირობებს;

2. განცხადებაში შეტანილი ინფორმაცია უტყუარია;

ხელმოწერა: თარიღი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

საქართველოს ეროვნულ ბანკს

განცხადება ფილიალის გახსნის თაობაზე

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის (მიეთითოს ბრძანების თარიღი და ნომერი) ბრძანების შესაბამისად, გთხოვთ, მომცეთ ნებართვა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ფილიალის გახსნის თაობაზე წინამდებარე განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე:

პუნქტის საფირმო სახელწოდება _____

პუნქტის სამართლებრივი ფორმა _____

პუნქტის საიდენტიფიკაციო კოდი _____

პუნქტის რეგისტრაციის ნომერი _____

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი _____

პუნქტის იურიდიული მისამართი _____

ფილიალის მისამართი _____

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი _____

ელექტრონული ფოსტის მისამართი _____

მომსახურე კომერციული ბანკი/ბანკები _____

ანგარიშების რეკვიზიტები ბანკში (ბანკებში) _____

მომსახურებისას ვიყენებ (შემოხაზეთ)საკომისიოს / საყურადღებო კურსს

_____

ღნიშნულ განცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

1. გავეცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას და ვაკმაყოფილებ „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის (მიეთითოს ბრძანების თარიღი და ნომერი) ბრძანების სარეგისტრაციო პირობებს;

2. განცხადებაში შეტანილი ინფორმაცია უტყუარია;

ხელმოწერა: თარიღი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №3

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის კონსოლიდირებული ანგარიშგება

პუნქტის დასახელება: _____

პუნქტის მისამართი: _____

ტელეფონის ნომერი: _____

სარეგისტრაციო ნომერი: _____

თანამშრომელთა რაოდენობა: _____

მათ შორის ქალები: _____

მათ შორის კაცები: _____

ფილიალების რაოდენობა: _____

საანგარიშგებო პერიოდი (კვარტალი, წელი): _____

ვალუტა	საწყისი ნაშთი	ყიდვა	გაყიდვა	საბოლოო ნაშთი

ხელმოწერა: თარიღი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №4

ქალაქი ———————— „———" „————" 20 წ.

ც ნ ო ბ ა

საეჭვო (ყალბი) ფულის გამოვლენის შესახებ

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დასახელება ————————————————————

პასუხისმგებელი პირი ————————————————————————————————

შემომტანი ————————————————————————————————————

(პირის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი

——

საბუთის მიხედვით, მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და

——

ტელეფონის ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება ასევე მისი დასახელება

ვალუტის დასახელება	ნომინალი	გამოშვების წელი	სერია, ნომერი

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა: საეჭვო ფულის შემომტანის ხელმოწერა:

ექსპერტიზის დასკვნა: ————————————————————————

ექსპერტის ხელმოწერა: ————————————————————————

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

უცხო ქვეყნის კამონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ ფიზიკურ პირზე გრანტის გაცემა 2427



- *სიტუაციურ სახელმძღვანელოში აღნიშნული გრანტის გაცემის მიზანი (სწავლის საფასურის ანაზღაურება) პირობითია და სიტუაციური სახელმძღვანელო ერევდება „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გრანტთან მიმართებით*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ ფიზიკურ პირზე გრანტის გაცემა“ №2427

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ ფიზიკურ პირზე გრანტის გაცემისას საგადასახადო აგენტის ვალდებულების წარმოშობის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირზე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე, შემდგომში სწავლის საფასურის ანაზღაურების მიზნით გასცა გრანტი. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა ორგანიზაციამ, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირზე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე გაცემული გრანტის ფარგლებში, საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ შეასრულა.

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, აგრეთვე უცხოეთის სამეწარმეო (თუ გრანტის მიმღები არის სახელმწიფო ან საქართველოს მთავრობა) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო მე-4 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე.

სსკ-ის 154-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში ევალება საგადასახადო აგენტს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მიღებული გრანტი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, რამდენადაც ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან და ამასთან, სსკ-ის 154-ე მუხლი არ ითვალისწინებს გრანტზე გადასახადის წყაროსთან დაკავებას, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ორგანიზაციას (ა(ა)იპ) მოცემულ შემთხვევაში არ წარმოეშობა საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

ამასთან, სიტუაციურ სახელმძღვანელოში აღნიშნული გრანტის გაცემის მიზანი (სწავლის საფასურის ანაზღაურება) პირობითია და სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გრანტთან მიმართებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №4350

2018 წლის 28 თებერვალი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის № 34134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის № 303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) **მე-17 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები**:

„ე) სამსახურის კუთვნილი ქონების, მათ შორის, თანამშრომლის სარგებლობაში არსებული ტექნიკისა და აღჭურვილობის განკარგვა ან მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენება ან სხვა სახით არამიზნობრივი სარგებლობა;

ვ) სამსახურში არასაპატიო მიზეზით დაგვიანებით გამოცხადება ან სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლა.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-17 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^1 მუხლი.

„17^1. თანამშრომლის არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა/სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლა

1. არასაპატიო მიზეზით სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების ან სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლის შემთხვევაში, ამ შინაგანაწესის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე თანამშრომელს ხელფასიდან შესაძლოა დაუკავდეს თანხა შემდეგი ოდენობით, კალენდარული თვის განმავლობაში, ჯამურად:

ა) ერთიდან 15 წუთამდე სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების/სამსახურიდან ადრე წასვლის შემთხვევაში, თანამშრომლის თვიური სახელფასო განაკვეთის 0,8%;

ბ) 15 წუთიდან 30 წუთამდე სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების/სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლის შემთხვევაში, თანამშრომლის თვიური სახელფასო განაკვეთის 1,5%;

გ) 30 წუთიდან 1 საათამდე სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების/სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლის შემთხვევაში, თანამშრომლის თვიური სახელფასო განაკვეთის 3%;

დ) 1 საათიდან 4 საათამდე სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების/სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლის შემთხვევაში, თანამშრომლის თვიური სახელფასო განაკვეთის 4,5%;

ე) 4 საათი და მეტი დროით სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების/სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლის შემთხვევაში, თანამშრომლის თვიური სახელფასო განაკვეთის 6%.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევისას, ხელფასის დაკავება ხორციელდება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თვის მომდევნო თვის ხელფასიდან. ზემოაღნიშნული წესით ხელფასის დაკავება არ განხორციელდება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის მომდევნო თვეს თანამშრომელთან შეწყდება შრომითი ურთიერთობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი ყოველი თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს აწვდის ანგარიშს წინა თვის განმავლობაში სამსახურში არასაპატიო მიზეზით დაგვიანებით გამოცხადებული/ სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასული თანამშრომელთათვის ხელფასის დაკავებისა და დასაკავებელი ხელფასის ოდენობის თაობაზე. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი ამზადებს სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტს თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. ფინანსური დეპარტამენტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო აღნიშნული ბრძანების საფუძველზე უზრუნველყოფს თანამშრომლის ხელფასის დაკავებას.

4. ამ შინაგანაწესის მიზნებისათვის, თანამშრომლის სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება საპატიოდ ჩაითვლება, თუ იგი გამოცხადდება ამ შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო დროის პირველი თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ თანამშრომლის სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება ან სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, ჩაითვლება საპატიოდ, თუ თანამშრომელი აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს უშუალო უფროსს დაგვიანებით გამოცხადების/სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლის მიზეზის მითითებით. ამასთან, ამ პუნქტით გათვალისწინებული დაგვიანებით გამოცხადება/სამსახურიდან სამუშაო დროის დასრულებამდე წასვლა საპატიოდ ჩაითვლება თუ არ აღემატება სამ შემთხვევას.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com